ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

წერილის ნომერი: **16-01263144295**
თარიღი: **10/11/2026**

ადრესატი: დოდო დავითულიანი
პირადი ნომერი: 01011048728
მისამართი: თბილისი მახათას აღმ. N 1ა

ქალბატონო დოდო,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტომ კომპეტენციის ფარგლებში განიხილა თქვენი განცხადება (19/01263101534-16 / AR11167034), სადაც გვთხოვთ პოზიციის დაფიქსირებას ღობის მოწყობასთან დაკავშირებით.

გაცნობებთ, რომ დაინტერესებაში მყოფი მიწის ნაკვეთი ზედდებაშია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 21 ნოემბრის №3-4 დადგენილების საფუძველზე „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილებით დამტკიცებული „სადგურის მოედანი - ლოტკინი - მახათას (ჰუალინგი)“ პერსპექტიულ საბაგირო დერეფანთან და მისი დაცვის ბუფერთან, სადაც აკრძალულია ნებისმიერი კატეგორიის შენობა-ნაგებობის განთავსება. თუმცა, **მოთხოვნის ტიპის გათვალისწინებით** ანალიტიკისა და ურბანული დაგეგმარების სამსახური არ არის აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე მშენებლობის წინააღმდეგი იმ პირობით, თუ დაცული იქნება საბაგირო დერეფნის სრულყოფილად ფუნქციონირებისათვის საჭირო სახანძრო უსაფრთხოების დაცვის მიზნით **სავალდებულო შემდეგი პირობები**: საბაგირო დერეფნის განთავსების არეალის გასწვრივ აკრძალულია გათბობის/გაგრილების და მსგავსი დანიშნულების გენერატორებისა და მიწის ზედაპირიდან 10 **მეტრზე მაღალი** სიმაღლის შენობა-ნაგებობის განთავსება.

პატივისცემით,

ნინო ბაგაშვილი

სააგენტოს უფროსი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი